ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენისა და ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 აგვისტოს N45 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ აღარ ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობას, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის უფლებამოსილებანი არსებითად არის შეზღუდული. საქართველოს ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული მათ მიერ ცნობების გაცემის ვალდებულება.

ვხელმძღვანელობთ რა, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, აღნიშნული დადგენილებით, ასევე, ძალადაკარგულად ვაცხადებთ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდის ნიმუშისა და რწმუნებულთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს N52 დადგენილებას, რადგან ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორია გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი ნინო ვაჩეიშვილი.

სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია იურიდიული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენისა და ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 აგვისტოს N45 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ - დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება. ხოლო ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი“. კანონის ამ განმარტებისა და წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვლება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდის ნიმუშისა და რწმუნებულთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს N52 დადგენილება.

იურიდიული სამსახურის უფროსი: თეა უჯმაჯურიძე